შეთანხმება N1 23.05.2012 წ

მხარეთა შორის გაფორმებული 2012 წლის 03 მაისის №289 (2-003187-2012) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მიმწოდებელი მხარე), რომელსაც წარმოადგენს მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ანა ნადირაშვილი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემსყიდველი მხარე), რომელსაც წარმოადგენს საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი, შეთანხმდნენ შემდეგზე.

1. მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა 2012 წლის 03 მაისის №289 (2-003187-2012) ხელშეკრულების საფუძველზე.
2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება 2012 წლის 30 მაისამდე ხდებოდა 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების გათვალისწინებით.
3. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცდა „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტარიფები“ ახალი რედაქციით.

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
23 05 2012 წ.
ფურცელი

აღნიშნულის გათვალისწინებით შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის გაფორმებულ 2012 წლის 03 მაისის ხელშეკრულებაში, რომლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების საფუძველზე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად".

ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული ცვლილება ამოქმედდეს 2012 წლის 30 მაისიდან.

მიმწოდებელი მხარე	შემსყიდველი მხარე
სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, მისი წარმომადგენელი ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი წარმომადგენელი საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი
ანა ნადირაშვილი	ნინო მურჯიკნელი
2012 წლის „18" მაისი	2012 წლის „ " მაისი

ეროვნული სასამართლო ექსპერტიზის ბიურო NATIONAL FORENSICS BUREAU

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA 203840433

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
23 05 2012 წ.
2 ფურცელი